ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4145786

ნომერი: AR1625179

თარიღი : 24.08.2018

გაცემის თარიღი : 19.09.2018

გაცნობის თარიღი : 15.10.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N42, საკადასტრო კოდი: 01.14.05.003.001;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო მაჭავარიანი პ/ნ 01025015969
- დიდი დიღომი, მე-3 მ/რ, 29 კორპ,ბინა 34აა

ორგანიზაცია:

- შპს "ჯეოსელი" კოდი: 203841940

ნომენკლატურა :

- აშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : საბაზო რადიოსადგურების გადამცემი ანტენები

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს (შემდგომში - არქიტექტურის სამსახური), მისი ოფიციალური ვებ-გვერდის www.tas.ge მეშვეობით ელექტრონულად წარმოდგენილი №AR1625179 განცხადებით მომართა, შპს „ჯეოსელი“-ს წარმომადგენელმა ნინო მაჭავარიანმა და ნომენკლატურის მიხედვით მოითხოვა, ქ. თბილისში, ვაკეში, ანნა

პოლიტკოვსკაიას ქუჩის №42-ში, შპს „ჯეოსელი“-ს და შპს „სისტემ ნეტ“-ის თანასაკუთრებაში არსებულ №01.14.05.003.001 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ აშენებული სხვა ფუნქციის შენობის ლეგალიზება, ხოლო მოთხოვნის ტექსტში მიუთითა, რომ ითხოვს
ფიჭური კავშირგაბმულობის საბაზო რადიოსადგურის გადამცემი ანტენების და განთავსებული კონსტრუქციის ლეგალიზებას. არქიტექტურის სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, გადაამოწმა მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია, შეისწავლა №AR1625179 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგი გარემოების გამო:

განმარტებითი ბარათის ტექსტში და ობიექტის ამსახველი ფოტოსურათებით დადასტურებულია, რომ სალეგალიზაციოდ რეალურად წარმოდგენილია ანტენები და განთავსებული კონსტრუქცია ანუ მოწყობილობა (დანადგარი), რომლის ლეგალიზებასაც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესი არ ითვალისწინებს და აქედან გამომდინარე, მისი ლეგალიზება ეწინააღმდეგება ზემოხსენებული ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ასახულ ლეგალიზების წესის განმარტებას და დანიშნულებას, რომლის თანახმადაც, ეს წესი განსაზღვრავს უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების (შემდეგში – ობიექტები ან მათი ნაწილები) ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესს, რაც ნიშნავს იმას, რომ ლეგალიზებას ექვემდებარებიან მხოლოდ აშენებული ე.ი სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოშობილი და არა დამონტაჟებული ობიექტები და მათი ნაწილები.

პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათინაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660–ე ბრძანებულებითდამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებასობიექტის ან მისინაწილის ლეგალიზების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ იგი არეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს (გარდა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნებისა). ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ, თუ იგი ეწინააღმდეგებასაქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს (გარდა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნებისა). არქიტექტურის სამსახური, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო, ვალდებულია ზუსტად და სრულად დაიცვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–5 მუხლის პირველ ნაწილში ასახული მითითებითი დისპოზიცია, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც საკითხის განმხილველ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს უკრძალავს, რომ განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სახელდობრ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში შემავალი საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის საწინააღმდეგო ქმედება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს შპს „ჯეოსელი“-ს წარმომადგენლის ნინო მაჭავარიანის №AR1625179 განცხადება და განახორციელოს ქ. თბილისში, ვაკეში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩის №42-ში, შპს „ჯეოსელი“-ს და შპს „სისტემ ნეტ“-ის თანასაკუთრებაში არსებულ №01.14.05.003.001 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ მოწყობილი ფიჭური კავშირგაბმულობის საბაზო რადიოსადგურის გადამცემი ანტენების და განთავსებული კონსტრუქციის ლეგალიზება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის, 51-ე მუხლის, 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის და მე-100 მუხლის პირველი ნაწილის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და პროექტისშემთანხმებელი და მშენებლობისნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდან/და პროექტისდარღვევით აშენებული ობიექტების ან მათინაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660–ე ბრძანებულებითდამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის და მე-3 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებების, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

____ არ დაკმაყოფილდეს შპს „ჯეოსელი“-ს წარმომადგენლის ნინო მაჭავარიანის №AR1625179 განცხადება.
____ უარი ეთქვას შპს „ჯეოსელი“-ს წარმომადგენელს ნინო მაჭავარიანს ქ. თბილისში, ქ. თბილისში, ვაკეში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩის №42-ში, შპს „ჯეოსელი“-ს და შპს „სისტემ ნეტ“-ის თანასაკუთრებაში არსებულ №01.14.05.003.001 მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ მოწყობილი ფიჭური კავშირგაბმულობის საბაზო რადიოსადგურის გადამცემი ანტენების და განთავსებული კონსტრუქციის ლეგალიზებაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.